



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №10

ქალაქი ბათუმი

2021 წლის 16 სექტემბერი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ- თამაზ სალუქვაძე

### მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- |                      |   |  |
|----------------------|---|--|
| ნატალია ზოიძე        | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;  |
| გოჩა მგელაძე         | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                        |
| დავით მახარაძე       | - | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                    |
| ირაკლი პატარიძე      | - | საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ელგუჯა ანდრიაძე      | - | საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                  |
| ზურაბ ნაკაიძე        | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;               |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;          |
| ნერიმან ცინცაძე      | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -  |

	დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
რაულ თავართილაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
არჩილ მამულაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
მუხამედ ართმელაძე	- საკრებულოს წევრი;
ნაზი ფუტყარაძე	- საკრებულოს წევრი;
ვაჟა რამიშვილი	- საკრებულოს წევრი
ირაკლი თოფურიძე	- საკრებულოს წევრი
<b>არ ესწრებოდნენ:</b>	
სულიკო თებიძე	- საკრებულოს თავმჯდომარე;
დimitრი ჭეიშვილი	- საკრებულოს წევრი;
თემურ კახიძე	- საკრებულოს წევრი;
ნატალია მიძიგური	- საკრებულოს წევრი;
ომარ მახარაძე	- საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	- საკრებულოს წევრი;
გელა დეკანაძე	- საკრებულოს წევრი;

## **სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - მზია შავაძე;

- აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები - გ. კირთაძე, ე. ბაგრატიონი.

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;

- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ელენე ჭოლიკიძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - თამაზ სალუქვაძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და წარმატებული დღე უსურვა, ასევე მან აღნიშნა, რომ საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 10 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა. ასევე მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე, რასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს არ გამოუთქვამთ.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა მერის მოადგილეები, სამსახურის უფროსები დასწრებოდნენ საკრებულოს სხდომას წამოჭრილ კითხვებზე პასუხის გასაცემად.

**სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

**დღის წესრიგი:**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - მზია შავაძე)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდებარე ე.წ. „შანხაის დასახლება“ ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის დამტკიცებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმში, დაბა მახინჯაურში ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მოსაწყობად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ, ქალაქ ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე 50,0 კვმ (ს.კ. 05.34.30.006) და 48,0 კვმ (ს.კ. 05.34.30.008) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ხიდის საყრდენების განთავსების თაობაზე შპს „მზიური რეზორტ“-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 9.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე, უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების კვეთაში არსებული სარეკრეაციო (გამწვანებული) ტერიტორიისთვის, სკვერის სტატუსის და მასზე ზაქარია ფალიაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

**სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 0

**სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.**

**საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე** - მიესალმა კოლეგებს, დამსწრე საზოგადოებას და რეგულაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პანდემიის დროს მუნიციპალური ტრანსპორტის შეზღუდვის პერიოდში არანაირი რეგულაცია არ სრულდებოდა. ტრანსპორტში პირბადეებიც კი არ ეკეთათ. საქალაქთაშორისო ტრანსპორტი მოძრაობდა ფეხზე მდგომი ადამიანებით. გარდა მისა, მისი დეპუტატობის ვადის განმავლობაში 600-ზე მეტი განცხადება აქვს შეტანილი ქალაქ ბათუმის მერიაში, რომლებზეც შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ეთანხმებოდნენ, რომ ეს საკითხები ყველა იყო სტრატეგიული და მნიშვნელოვანი როგორც ქალაქისთვის, ასევე მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისათვის, თუმცა აქედან 5% არ არის შესრულებული.

**საკრებულოს წევრი მირდატ ქამადაძე** მიესალმა კოლეგებს, დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სავარაუდოდ ამ ტრიბუნლიდან მისი ბოლო მიმართვა იქნება ბათუმელების მისამართით და ყველამ იცის, რომ მნიშვნელოვანი თვითმმართველობის არჩევნების წინ დგანან. მას შეუძლია 4 წლის თავზე თამამად თქვას, რომ რეალურად 2 ოქტომბრის არჩევნები მნიშვნელოვანია, რადგან გაიგებენ, ქვეყანა საით წავა რუსეთისკენ თუ დასავლეთისკენ აღებული კურსით. ასევე მნიშვნელოვანია თუ რა ხდება ქვეყანაში, მას სურს, რომ ჰკითხოს თითოეულ კოლეგას პარტია „ქართული ოცნებიდან“ და ბათუმელებს - ასეთ ფორმალურ ცხოვრებას დიდი ძმის თვალთვალი ართმევს, ისედაც აღარაფერი დარჩა წმინდა ამ ქვეყანაში, თუ რა მოსმენებთან აქვთ საქმე. ამაზე თუ პასუხს მიიღებს, რომ უარესი ან მსგავსი ხდებოდა, არამგონია ბათუმელები ამ პასუხს დაჯერდნენ. ასეთ საზოგადოებაში მოსახლეობა არ იმსახურებს და 2 ოქტომბერს გადაწყვეტილებას მიიღებს. გარდა ამისა, ბათუმში გაურკვეველი კომპანიის მიერ 7კორპუსი შენდება, რაზედაც მერიას ნებართვა არ გაუცია და დღემდე რაიმე ქმედითი გადაწყვეტილება არ მიუღია, სანამ მათი პარტიიდან მერობის კანდიდატი გიორგი კირთაძე ადგილზე არ მივიდა. აღნიშნულიც ბათუმელების შეურაცხყოფაა და ბათუმელებს მიმართა თხოვნით, რომ 2 ოქტომბერს მივიდნენ არჩევნებზე და მიიღონ გადაწყვეტილება.

**საკრებულოს წევრი ნოდარ დუმბაძე** - უკანონო მშენებლობები ხდება ბათუმში, რაზედაც გადაღებული სურათები წარმოადგინა, 7 კორპუსი შენდება ნებართვის გარეშე, სადაც რამდენიმე ათასი ჩინელის ჩამოყვანას აპირებენ, რადგან ჩინეთში აკრძალულია ტოტალიზატორი და მართვის ცენტრი უნდა გაკეთდეს ბათუმში. მას ასევე აქვს კითხვები: რას ემსახურება აღნიშნული შენობა-ნაგებობები, ვინ და რატომ აშენებს და ამ ხნის განმავლობაში რას აკეთებდა მუნიციპალიტეტი. დღეს შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელები, რომ ყოფილიყვნენ კითხვებზე პასუხი გაიცემოდა.

**საკრებულოს წევრი რაულ თავართქილაძე** - 2017 წელი იყო თვითმმართველობის არჩევნების, ყველა დადიოდა მოსახლეობაში და ცნობილია გამოკითხვები, მოსახლეობას აწუხებდა ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწყობა, უმუშევრობა და საცობები. ამ ხნის განმავლობაში ჩატარდა სამუშაოები, მაგრამ ბევრიც გასაკეთებელია. აღნიშნული თემები დღესაც აქტუალურია. მან ფრაქცია, ბათუმის სახელით ბევრი ინიციატივა და საკითხები დააყენა, თუმცა ბევრი გასაკეთებელია.

**საკრებულოს წევრი ნატალია ზოიძე** - 2017-2021 წლის მოწვევის დღეს საკრებულოს ბოლო სხდომაა და იმედს იტოვებს, რომ ბევრად უფრო უკეთესი საქმიანობა განხორციელდება მომავალში, იქედან გამომდინარე, რომ ამისთვის ბევრი ნაბიჯი

გადაიდგა საკანონმდებლო თუ სხვა ინიციატივის. რაც შეეხება ოპონენტების გამოთქმულ მოსაზრებებს მაინცდამაინც თვლის, რომ მირდატ ქამადაძე პროფესიას დიდ პატივს სცემს და არ ამახინჯებს ფაქტებს. ახსენეს სიტყვა არჩევნები და მისი პარტიისა და თანამოაზრეებისგან განსხვავებით მისთვის მნიშვნელოვანი იყო. გარდა ამისა დასავლეთისკენ აღებული კურსი არაერთ მნიშვნელოვან დოკუმენტშია ასახული და ამაზე ახლა არ ისაუბრებს. რაც შეეხება მოსმენებს და თვალთვალს დღემდე ტელევიზიით ისმის გვისმენენო. მოსმენის თვალთვალის პერიოდი გადმოჰყვა ოპოზიციას, რომ იგივე მეთოდებს ახსენებდნენ და ცდილობენ მიაწერონ მმართველ ძალას, თუმცა კანონის პატივისცემას გამოხატავს და გამოძიება მნიშვნელოვანია, ის ყოველთვის წინააღმდეგია მიყურადებისა და თვალთვალისა. დღეს იმიტომ არის მშვიდად, რომ დარწმუნებულია გამოძიება გამოავლენს, რასაც ჰქონდა ადგილი. რაც შეეხება უკანონოდ აშენებულ 7 კორპუსთან დაკავშირებით გატარებულია ღონისძიებები, რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს. მომავალ საკრებულოს უსურვებს, რომ მეტად კონსტრუქციულები იყვნენ.

**საკრებულოს წევრი მირდატ ქამადაძე** - საკრებულო არის პოლიტიკური ორგანო, პოლიტიკოსებს ირჩევენ აქ და მიმდინარე მოვლენებზე პოლიტიკური შეფასებები უნდა ჰქონდეთ.

**საკრებულოს წევრებს შორის გაიმართა დებატები ზემოთაღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით.**

**სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა 10 წუთიანი შესვენება.**  
**სხდომა განახლდა: 11.40 სთ.**

**სხდომის თავმჯდომარემ თამაზ სალუქვაძემ აცნობა, რომ** მიმდინარე წლის 09 აგვისტოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - ბათუმელები“ თავმჯდომარემ ნატალია ძიძიგურმა მომართა განცხადებით (N19/15212214-15) - ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობისა და ფრაქციის დატოვების თაობაზე, აღნიშნული ფრაქცია შედგებოდა სამი წევრისაგან, ნატალია ძიძიგურის ფრაქციიდან გასვლის შემდგომ ფრაქციაში დარჩა 2(ორი) წევრი, კანონმდებლობით კი ფრაქციის საქმიანობისათვის საჭიროა მინიმუმ სამი წევრი მაინც, აღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - ბათუმელები“ გაუქმებულად ითვლება 2021 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით.

ასევე აცნობა, რომ მიმდინარე წლის 23 აგვისტოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - ჩვენი ბათუმისათვის“ თავმჯდომარემ ანზორ დევაძემ მომართა განცხადებით (N19/15212356-15) - ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობისა და ფრაქციის დატოვების თაობაზე, აღნიშნული ფრაქცია შედგებოდა სამი წევრისაგან, ანზორ დევაძის ფრაქციიდან გასვლის შემდგომ ფრაქციაში დარჩა 2(ორი) წევრი, კანონმდებლობით კი ფრაქციის საქმიანობისათვის საჭიროა მინიმუმ სამი წევრი, აღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - ჩვენი ბათუმისათვის“ გაუქმებულად ითვლება 2021 წლის 24 აგვისტოს მდგომარეობით.

საკრებულოს წევრი ნოდარ დუმბაძე ითხოვდა წამოჭრილ კითხვებზე პასუხის გაცემას, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ წერილობით პასუხს მიიღებდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან.

საკრებულოს წევრებმა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა მ. ქამადაძემ, ნ. დუმბაძემ და ნ. ფუტყარაძემ დატოვა სხდომათა დარბაზი.

სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**                   საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - მზია შავაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების მიღება. კერძოდ, განკარგულების შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს თანხმობა შპს „ალიანსი ფრივილიჯი“-ს (ს/კ 412718466) დაუბრუნოს ქალაქ ბათუმში, შოთა რუსთაველის ქ. №42-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.23.02.025) მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობისათვის „ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 ივლისის №27 დადგენილების საფუძველზე მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების გამო ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, იმ შემთხვევაში, თუ შპს „ალიანსი ფრივილიჯი“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას მოახდენს უძრავი ქონებით (მათ შორის ამ პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონებიდან), რომლის ღირებულება იქნება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობაზე მეტი.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**                   საკრებულოს წევრმა მუხამედ ართმელაძემ დასვა კითხვა შენობის დასრულების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2022 წლისათვის დასრულებული უნდა იყოს.



სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდებარე ე.წ. „შანხაის დასახლება“ ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის დამტკიცებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდებარე ე.წ. „შანხაის დასახლება“-ს ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის დამტკიცებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ განკარგულების მიღება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების არსებობა, მათ შორის ისეთი ავარიული საცხოვრებელი სახლების არსებობა, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ერთ-ერთ ასეთ დასახლებას წარმოადგენს ე.წ. „შანხაის დასახლება“. ამ ურთულესი გამოწვევის დაძლევა და პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია ამ დასახლებისათვის ისეთი ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის დამტკიცებით, რომლის მიზანი იქნება მოსახლეობისათვის ჯანსაღი, უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა და ქალაქის იერსახის გაუმჯობესება. ამ მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ე.წ. „შანხაის დასახლება“-ში სოციალური სახლების მშენებლობა, რომლითაც საბოლოოდ მოხდება აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ მე-3 მუხლის „324“ ქვეპუნქტის თანახმად, ქალაქთმშენებლობითი ღონისძიება არის ღონისძიებათა სისტემა ქალაქთმშენებლობაში, რომელიც ხორციელდება ტერიტორიის სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების გაუმჯობესების, მათ შორის, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაჯანსაღების მიზნით. კოდექსის 54-63-ე მუხლებით მოწესრიგებულია ქალაქთმშენებლობითი გეგმის შემუშავების, ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელების და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, კერძოდ მუნიციპალიტეტის საკრებულო აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ამტკიცებს ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმას. ეს გეგმა უნდა ადგენდეს აღნიშნული ღონისძიებების მიზნებსა და არეალს, აგრეთვე შეიძლება მოიცავდეს მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შემცირებისა და აღმოფხვრისკენ მიმართულ სოციალურ, ეკონომიკურ, გარემოსდა-

ცვით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, სამშენებლო, ინფრასტრუქტურულ და სხვა, მსგავს ასპექტებს.

ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებები უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს და უნდა ქმნიდეს ქვეყნის ცალკეული ნაწილების გარემოსდაცვითი, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებით განვითარების შესაძლებლობას. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა განისაზღვრება არსებული განაშენიანების დეგრადირების ხარისხის, მოსახლეობის საცხოვრებელი და შრომის პირობებისა და დასახლებათა ფუნქციური უნარის დაქვეითების ღონის შესაბამისად. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების განმახორციელებელი პირის მიერ შესაძლებელია დაიგეგმოს და განხორციელდეს ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების არეალში მდებარე მრავალბინიანი სახლების განვითარება ან/და რეაბილიტაცია. თუ ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების არეალში მდებარე უძრავი ქონება ავარიულია და გამაგრებას არ ექვემდებარება, რაც დადასტურებულია შესაბამისი საექსპერტო დასკვნით, რომლის თანახმად, მისი არსებობა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს, ასეთი შენობის დემონტაჟი ხორციელდება შენობის მესაკუთრის თანხმობის გარეშე. ამ შემთხვევაში ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების განმახორციელებელი პირი ვალდებულია მესაკუთრეს შენობის დემონტაჟის განხორციელებამდე სანაცვლოდ გადასცეს, სულ მცირე, მისი ტოლფასი ქონება ან სამართლიანი და სრული კომპენსაციის თანხა, ან, თუ იმავე ადგილას იმავე ფუნქციის ახალი შენობა აშენდა, ახალ შენობაში გადასცეს, სულ მცირე, იმ ფართობის ტოლი ფართობი, რომელიც მის საკუთრებაში იყო ძველ შენობაში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა უნდა უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდებარე ე.წ. „შანხაის დასახლება“-ს ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის შემუშავების მიზნით შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება და გეგმის საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარმოდგენა.

#### **ა ზ რ ი**

#### **გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

**საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ** აღნიშნა, რომ მრავალწლიანი პრობლემის მოგვარების საწყისებთან არიან, ასეთ პოზიტიურ თემებს წინა პლანზე არასოდეს არ აყენებენ მათი ოპონენტები. ეს ის პრობლემაა წინა ხელისუფლების დროსაც რომ იყო.

**საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ** დასვა კითხვა ტერიტორიის მოწესრიგების შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ბარაკის ტიპის სახლებში მოსახლეობა წლების განმავლობაში ცხოვრობენ, რის გამოც მოხდება ამ ტერიტორიის გამოთავისუფლება და კორპუსების ჩადგმა, ე.ი სოციალური სახლის მშენებლობა.

**საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ მისასალმებელია და მნიშვნელოვანია ასეთი პროექტის განხორციელება ქალაქის ტერიტორიაზე. პროექტი უნდა გაგრძელდეს გორგილადისა და ჯავახიშვილის კვეთაში.

საკრებულოს წევრმა გოჩა მგელაძემ აღნიშნა, რომ სასიხარულოა მისი მოღვაწეობის პერიოდში დაიგეგმა სოციალური სახლის მშენებლობა. მადლობა გადაუხადა აჭარის მთავრობას, თვითმმართველობას, ქონების სამსახურს. იმედი აქვს, რომ აშენდება 150 ოჯახისთვის სახლები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მომავალი წლების განმავლობაში ასეთი კარგი პროექტი უნდა გაგრძელდეს.

**სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15  
წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე იგეგმება დაბალი ინტენსივობის ორ სართულიანი სასტუმრო ფუნქციის მქონე ელიტალური ვილების მშენებლობა.

საპროექტო მიწის ნაკვეთები ( ს. კ. 05.36.24.091, 05.36.24.608 და 05.36.24.805 ) საერთო ფართობით 20485,0 კვ.მ მდებარეობს ქ. ბათუმში, გონიოს დასახლებაში შავი ზღვის სანაპირო ზოლში განლაგებულ ტერიტორიაზე, რომელის ბათუმის ცენტრიდან დაშორებულია 12 კმ-ით. საპროექტო ტერიტორიას დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ზღვის სანაპირო და შავი ზღვა, ჩრდილოეთის, ჩრდილო- აღმოსავლეთის მხრიდან 300 მეტრის რადიუსში თავისუფალი ტერიტორიები, აღმოსავლეთის მხრიდან 230 მეტრის მანძილზე თავისუფალი ტერიტორიები და შემდეგ დაბალი ინტენსივობის განაშენიანება ხოლო ნაწილობრივ სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან 300 მეტრის რადიუსში დაბალი ინტენსივობის კერძო განაშენიანება.

ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „გონიო 2020“ (ს/კ 445569698).

**დაგეგმილი ცვლილების მიზანი:** ქალაქმშენებლობითი პარამეტრების ცვლილება, რაც არსებითად არ აისახება დადგენილი ზონის მოთხოვნებზე. კერძოდ განსაზღვრულია:

1) შზ-4 ზონაში დადგენილი განაშენიანების მაქსიმალური (კ-1) კოეფიციენტი 0.2

მაჩვენებლიდან გაიზარდოს 0,3- მაჩვენებლამდე. 2) შზ-4 ზონაში დადგენილი მაქსიმალური სიმაღლე 15 მეტრიდან შემცირდეს 8 მეტრამდე; 3) შზ-4 ზონაში დადგენილი გამწვანების (კ-3) კოეფიციენტი- 0,8 მაჩვენებლიდან შემცირდეს 0,6- მაჩვენებლამდე. 4) დასაპროექტებელ ვილებს შორის მიჯნის ზონებით დადგენილი მანძილები შემცირდეს 3 მეტრამდე. დაგეგმვის მიზანია ტერიტორიის კეთილმოწყობა და განვითარება ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნით და მისი გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურით, ისე რომ მინიმალურად მოხდეს ჩარევა ბუნებრივ გარემოში და შედეგი მაქსიმალურად პოზიტიურად იყოს აღქმადი როგორც საპროექტო და მისი მომიჯნავე ტერიტორიებიდან, ისე პერიფერიული ნაწილიდან. დაგეგმვის ამოცანაა კომფორტული, ხარისხიანი და უსაფრთხო საცხოვრებელი ასევე რეკრეაციული ზონის შექმნა მთავარი ამოცანაა როგორც პროექტანტებისთვის ისე დამკვეთისთვის და ეს პრინციპები სრულ თანხვედრაშია საზოგადოებრივ ინტერესებთან.

ფუნქციური ზონირება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბათუმის მუნიციპალიტეტში სადაც მოცემული ტერიტორიისთვის ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუქის შესაბამისად საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება საკურორტო ზონას და წარმოადგენს შერეული ზონის (შზ-4) ქვეზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და წარმოადგენს ნაშენ ტერიტორიას სადაც განსაზღვრული კოეფიციენტებია:

ა) შზ-4 ზონაში დადგენილი განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) - 0,2;

ბ) შზ-4 ზონაში დადგენილი მაქსიმალური სიმაღლეა 15 მეტრი;

გ) შზ-4 ზონაში დადგენილი გამწვანების კოეფიციენტია (კ-3) - 0,8.

მაკომპენსირებელი ღონისძიებები

საპროექტო დავალების შესაბამისად ქალაქგეგმარებითი პარამეტრების ცვლილების სანაცვლოდ რასაც ითვალისწინებს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 ქვეპუნქტი, გეგმარებითი ერთეულის მიმდებარედ განსაზღვრულია სკვერისა და საზოგადოებრივი პარკინგის მოწყობა საერთო ფართობით 10432,0 კვ.მ. მათ შორის მოეწყობა: სკვერი 6832,0 კვ.მ, პარკინგი 3000 კვ.მ სადაც განლაგდება 80 ავტომობილი და 594,0 კვ.მ ტროტუარი და საფეხმავლო ბილიკები.

ადგილმდებარეობა

საპროექტო მიწის ნაკვეთები ( ს. კ. 05.36.24.091, 05.36.24.608 და 05.36.24.805 ) საერთო ფართობით 20485,0 კვ.მ მდებარეობს ქ. ბათუმში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, N 18, გონიოს დასახლებაში შავი ზღვის სანაპირო ზოლში განლაგებულ ტერიტორიაზე, რომელიც ბათუმის ცენტრიდან დაშორებულია 12 კმ-ით.

მიმდებარე განაშენიანება საპროექტო ტერიტორიას დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ზღვის სანაპირო და შავი ზღვა, ჩრდილოეთის, ჩრდილო- აღმოსავლეთის მხრიდან 300 მეტრის რადიუსში სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი თავისუფალი ტერიტორიები, აღმოსავლეთის მხრიდან 230 მეტრის მანძილზე სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი თავისუფალი ტერიტორიები და შემდეგ დაბალი ინტენსივობის კერძო განაშენიანება ხოლო ნაწილობრივ სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან 300 მეტრის რადიუსში დაბალი ინტენსივობის კერძო განაშენიანება.

აზრი

გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ განაცხადა, რომ წინააღმდეგია აღნიშნული საკითხის ზღვის ზოლის დაკეტვასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 1(ა. მამულაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს:

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზანია ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

შპს „ორბი ჯგუფი ბათუმის“ სახელზე გაცემულია ინიცირების ბრძანება ქ.ბათუმში, წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე, რომელიც მდებარეობს ქალაქ ბათუმში და მოიცავს ფიროსმანის, ყიული შარტავას, შ. ხიმშიაშვილისა და დავით ხახუტაიშვილის ქუჩებს შორის არსებულ კვარტალს, რომელზეც განთავსებულია მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდებით: 05.24.05.218, 05.24.05.250, 05.24.05.246, 05.24.05.247, 05.24.05.237, 05.24.05.222 და 05.24.05.102.

ინიციატორის მიერ დაგეგმილია ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. N14; ფიროსმანის ქუჩაზე, სპორტ სკოლის მიმდებარედ და ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქ. N7ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე N05.24.05.218 და N05.24.05.250 მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა. შპს „ორბი ჯგუფი ბათუმი“-ს (ს/№445 468798) მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტოს მიერ გამოცხადებულ აუქციონზე შეძენილი იქნა ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. №14-ში მდებარე 13 540,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 05.24.05.218). მხარეთა შორის 2020 წლის 04 აგვისტოს გაფორმდა პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება №17“. ხელშეკრულების თანახმად განისაზღვრა, რომ მყიდველი ვალდებულია შეძენილ მიწის ნაკვეთზე ააშენოს არანაკლებ 100 ნომრიანი შენობა-ნაგებობა და განახორციელოს არანაკლებ 60 000 000 ლარის ინვესტიცია. ამასთან, შეძენილი მიწის ნაკვეთიდან, ქ. ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №7ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ:05.24.05.250) ხარჯზე შპს „ორბი ჯგუფი ბათუმმა“

(ს/№445468798) უნდა ააშენოს არანაკლებ 10,00 მეტრი სიგანის საავტომობილო გზა, რომელიც ჟიული შარტავას გამზირს დააკავშირებს ხახუტაიშვილის ქუჩასთან.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ დადგენილების მე-2 პუნქტში სწერია: განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტების საკონპენსაციოდ გათვალისწინებული მაკონპესირებელი ღონისძიების სახე და მასთან დაკავშირებული პირობები დაზუსტდეს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ეტაპზე, რომელიც ითვალისწინებს ქალაქისთვის რაღაც სარგებლის მიცემას. მან მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, თუმცა ქალაქი სამაგიეროდ მიიღებს ანალოგიურ საცხოვრებელ სახლს.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მაკონპესირებელი ღონისძიებები დადგენილია კ2 კოეფიციენტის გადამეტების შემთხვევაში.

**სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 13

არ ესწრებოდა: 2(ი. თოფურიძე, მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10

წინააღმდეგი - 2(რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

არ მიიღო მონაწილეობა: 1(ი. პატარიძე)

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ო ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით სარგებლობაში განსაკარგი ქონების (მიწის ნაკვეთი) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (№19/1421040218-03, 09.02.2021წ) მომართა ფიზიკურმა პირმა რამაზ მორთულაძემ, რომლითაც იგი ითხოვს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, აეროპორტის

გზატკეცილი №300ა-ს მიმდებარედ არსებული 74.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №05.32.22.011) 5 წლის ვადით იჯარით სარგებლობაში გადაცემას, ტერიტორიაზე სავალუტო ჯიხურის და სწრაფი კვების ობიექტის მოწყობის მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №300ა-ს მიმდებარედ არსებული 74.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №05.32.22.011) იჯარით სარგებლობაში გადაცემა.

**სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 12

არ ესწრებოდა: 3(ი. თოფურბე, მ. ართმელაძე, რ. თავართქილაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მოდრავი ქონებების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 12

არ ესწრებოდა: 3(ი. თოფურბე, მ. ართმელაძე, რ. თავართქილაძე)

**დაადგინეს:** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მოისმინეს:** საკითხი 7. „ქალაქ ბათუმში, დაბა მახინჯაურში ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მოსაწყობად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ, ქალაქ ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე 50,0 კვმ (ს.კ. 05.34.30.006) და 48,0 კვმ (ს.კ. 05.34.30.008) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ხიდის საყრდენების განთავსების თაობაზე შპს „მზიური რეზორტ“-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (№10/142111238-14, 22.04.2021წ.) მომართა შპს „მზიური რეზორტ“-მა რომლითაც განმარტავს, რომ ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №14-ში არსებული 15070,00 კვმ (ს/კ 05.34.22.120) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ახორციელებს მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობას (სმ №004369) სადაც განთავსდება საერთაშორისო სტანდარტების მქონე IHG ჯგუფის პრემიუმ კლასის 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო GROWNE HOTELS & RESORTS და დამატებით სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი აპარტამენტები. აქვე განმარტავენ, რომ მათი კუთვნილი ობიექტის წინ მდებარეობს საქალაქთაშორისო ავტო მაგისტრალი, რომელზედაც ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობაა, აქვე მდებარეობს რკინიგზის ლიანდაგები, სადაც ასევე საკმაო სიხშირით ხდება მატარებლის გადაადგილება, და ეს ყოველივე საკმაოდ შემაფერხებელი გარემოებაა ქვეითად მოსიარულეთა მიერ უსაფრთხოდ გადაადგილების გზით ქუჩის და მატარებლის ლიანდაგების გადაკვეთის და სანაპირო ზოლთან უსაფრთხოდ მისვლის თვალსაზრისით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით მათ მიერ შემუშავებულ და განსახორციელებელ პროექტში გათვალისწინებული იქნა ევროსტანდარტების შესაბამისი ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მშენებლობა. გადასასვლელი ხიდის საწყისი წერტილი იქნება მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, ვინაიდან ტროტუარი არ ილევა ამის შესაძლებლობას, ხიდი გადაკვეთს ავტომაგისტრალს, რკინიგზის ლიანდაგებს და სარულების წერტილი იქნა ზღვისპირა ზოლი. ხიდი იქნება სრულიად ადაპტირებული შშმ პირთათვის, რათა ნებისმიერ პირს მათ შორის რეგიონის სტუმრებს და ადგილობრივ მოსახლეობას შეეძლოთ გადასასვლელი ხიდით შეუფერხებლად და კომფორტულად სარგებლობა და სანაპირო ზოლთან უსაფრთხოდ მისვლა. გადასასვლელი ხიდის დაბოლოების ადგილზე, სანაპირო ზოლში გასაკეთებელი საყრდენი კონსტრუქციისათვის საჭიროა 50,0 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი. ხოლო, ხიდის შუა ნაწილისათვის განხაზღვრული საყრდენი კონსტრუქცია უნდა განთავსდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში



არსებულ 48,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს.კ. 22.21.03.013) ნაწილზე - 26 კვ.მ.-ზე განმცხადებელი ითხოვს აღნიშნული მიწის ნაკვეთების 49 წლის ვადით უსასყიდლოდ აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემას. ამასთან, შპს „მზიური რეზორტ“-ი იღებს ვალდებულებას 48,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე არსებულ ავტობუსების გაჩერებაზე მოაწყოს თანამედროვე დიზაინის მგზავრთა მოსაცდელი. ასევე, 2021 წლის 21 ივლისის #10/1421202472-14 წერილით იღებს სხვა ვალდებულებასაც, კერძოდ მათი საკუთრების მომიჯნავედ მდებარე #05.34.22.328 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 2316,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მერიასთან შეთანხმებული პროექტით მოაწყობს საერთო სარგებლობის სკვერს. გადასასვლელი ხიდის და სკვერის მოწყობის სამუშაოებს დაასრულებს არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 48,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს.კ. 22.21.03.013) გადმოეცა და იგი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულია #05.34.30.008 საკადასტრო კოდით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს სკვერის მოწყობის მიზნით ასევე საკულებში გადმოეცა მახინჯაურში მდებარე #05.34.22.328 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 2316,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთების შპს „მზიური რეზორტ“-ის მოთხოვნით 49 წლის ვადით უსასყიდლოდ აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის ნაცვლად, შპს „მზიური რეზორტ“-ს მიეცეს მათზე გადასასვლელი ხიდის საყრდენების მოწყობის თანხმობა შემდეგი პირობებით:

-გადასასვლელი ხიდი იქნება სრულიად ადაპტირებული შშმ პირთათვის. ხიდით შეუფერხებლად სარგებლობა შეეძლება ნებისმიერ პირს.

-შპს „მზიური რეზორტ“-ი #05.34.30.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოაწყობს თანამედროვე დიზაინის მგზავრთა მოსაცდელს;

-#05.34.22.328 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 2316,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მერიასთან შეთანხმებული პროექტით მოაწყობს საერთო სარგებლობის სკვერს.

-გადასასვლელი ხიდის და სკვერის მოწყობის სამუშაოებს სამუშაოებს განახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით და დაასრულებს არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.

**სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ს მ ი ნ ე ს :**           საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 25 აგვისტოს N4668/02 (N14-1421233133-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა განახორციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისათვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს 2021 წლის 23 ივლისის N1/1-3553 ბრძანებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონებების (საცხოვრებელი ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების (ბინების - თანახმად დანართისა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაცემა შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები:    მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე, უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 25 აგვისტოს N4668/02 (N14-1421233133-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა განახორციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისათვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს 2021 წლის 2 აგვისტოს N1/1-3758 ბრძანებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონებების (საცხოვრებელი ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების (ბინების - თანახმად დანართისა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაცემა შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების კვეთაში არსებული სარეკრეაციო (გამწვანებელი) ტერიტორიისთვის, სკვერის სტატუსის და მასზე ზაქარია ფალიაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიზანია პატივი მივაგოთ სასიქადულო მამულიშვილსა და კომპოზიტორს, დირიჟორსა და საზოგადო მოღვაწეს, პედაგოგს, საქართველოს სახალხო არტისტს, ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელს, კლასიკოსს - ზაქარია ფალიაშვილს.

2021 წელს ზაქარია ფალიაშვილს დაბადებიდან 150 წელი უსრულდება. ვინაიდან ბათუმში, მისივე სახელობის სამუსიკო სკოლა არსებობს, უპრიანია იქვე არსებულ რეკრეაციულ ზონაში არსებულ ტერიტორიას ეწოდოს ზაქარია ფალიაშვილის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,  
საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ

თამაზ სალუქვაძე

ოქმის სისწორეს  
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ე. ჭოლიკიძე — საკრებულოს აპარატის იურიდიული  
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,  
სხდომის მდივანი